საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1859-02
09/07/2018

ზაფხულის პერიოდში სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დარბაზებისა და კომპიუტერული რესურსცენტრების სამუშაო განრიგის ორგანიზების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის `ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-20 მუხლის 1- ლი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ბიბლიოთეკის დირექტორის, თეო ყაველაშვილის 2018 წლის 6 ივლისის N11840-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1.ზაფხულის პერიოდში სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დარბაზებისა და კომპიუტერული რესურსცენტრების სამუშაო განრიგი დამტკიცდეს შემდეგნაირად:

ა) სულხან–საბა ორბელიანის დარბაზი (მის.: ი. ჭავჭავაძის #32, B კორპუსი, მეოთხე სართული, ოთახი 401) –

2018 წლის 21 ივლისი – 11 სექტემბერი: ორშაბათი – პარასკევი 10:00 – 18 :00 საათი;

ბ) ილიას დარბაზი (მის.: ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი #3-5, E კორპუსი, მეორე სართული) - 9 ივლისიდან დარბაზი ნაცვლად 23:00 საათისა დაიკეტება 21:00 საათზე.

2018 წლის 21 ივლისი – 10 სექტემბერი: ორშაბათი – პარასკევი 10:00 – 18:00 საათი;

გ) კომპიუტერული რესურსცენტრები:

- კომპიუტერული რესურსცენტრი I – მის.: ი. ჭავჭავაძის გამზირი #32, A 207;
- კომპიუტერული რესურსცენტრი II – მის.: ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი #3-5, E307

2018 წლის 1 აგვისტოდან წყვეტს ფუნქციონირებას და მუშაობას განაახლებს 2018 წლის 17 სექტემბერს.

დ) გავრცელდეს ზემოთ მითითებული ვადები კომპიუტერულ რესურსცენტრებში განთავსებული ასლის გადაღებისა და მასალის ამობეჭდვის პუნქტების სამუშაო განრიგზეც.

2. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილეს, ,,არგუსის“ კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე, ირინა ბაზღაძეს ამ ბრძანებით მიღებული გადაწყვეტილება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - „არგუსის“ მეშვეობით გახადოს უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისთვის ხელმოსაწვდომი, ხოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს - გამოაქვეყნოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ეს ბრძანება გამოაკრას საჯაროდ საუნივერსიტეტო სტენდზე და გააცნოს უნივერსიტეტის ყველა საგანმანათლებლო ერთეულს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი